სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

27 აპრილი, 2026 წელი

ბრძანება №01-10/51

„ბსუ-ს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 24 ივნისის №01-10/70 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23–ე, 24-ე, 43-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15, 66-ე, 66'-ე და 70-ე მუხლების, ბსუ-ს შინაგანაწესის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის, „ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 15 ივნისის №07-01/33 გადაწყვეტილების, ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკის დირექტორის 2026 წლის 20 მარტის MES 1 26 0000340957 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ბსუ-ს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 24 ივნისის №01-10/70 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, **დანართში** შევიდეს ცვლილება, კერძოდ, **№1 დანართის** („ბსუ-ს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი'') **მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკა მუშაობს კვირაში ექვსი დღე (ჯამში 60 საათი), შემდეგი განრიგით:

ა) ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით სამუშაო დღეებში 9^{00} საათიდან 20^{00} საათამდე (მათ შორის: მცირე დარბაზი - 9^{00} საათიდან 18^{00} საათამდე, დიდი დარბაზი - 9^{00} საათიდან 20^{00} საათამდე), შაბათს - 9^{00} საათიდან 20^{00} საათამდე (დიდი დარბაზი, სააბონემენტო მომსახურება);

ბ) ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით სამუშაო დღეებში, 9^{00} საათიდან 18^{00} საათამდე - კომპიუტერული დარბაზი (ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. № 32, II კორპუსი - აუდიტორია 403).''.

2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: „საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები“; „სტრუქტურული ერთეულები“; „უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა“).
3. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს და ყველა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. №30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მერაბ დიასამიძე